**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**თავმჯდომარის ბრძანება**

ბრძანება:**ბ119. 11924082001**

თარიღი:**22/03/2024**

***<u>წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ</u>***

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით,

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:***

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა 2024 წლის 29 მარტს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 10:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიების დასკვნები განკარგულების პროექტზე „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

ბ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT240003876) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,მონომშენთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

გ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT240003877) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,არწივანთან" ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

დ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT230027500) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,ჯეო ბილდ გრუპთან" გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე";

ე) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT230027503) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს ,,ბილდინგ დეველოპერთან" გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი